# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სატენდერო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 20

ქ. ბათუმი — 3 მაისი 2012 წ.

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე - სულხან მოწყობილი.

**სხდომას ესწრებოდნენ:** კომისიის წევრი - ნუგზარ ძნელაძე.

კომისიის წევრები: თამაზ წულაძე, სულხან მამუჭაძე, ნუგზარ ცინცაძე.

საკონკურსო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოს ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსს ირაკლი სურმანიძეს.

**დღის წესრიგი:** ორსართულიანი მანსარდით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული **№ 421 კონკურსის შედეგების განხილვა.**

**მოისმინეს:** ნუგზარ ძნელაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა შპს „ნგ ჯგუფმა“.

საკონკურსო კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და აღინიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ვერ აკმაყოფილებს ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, კერძოდ: აჭარის რეგიონში გავრცელებული საცხოვრისის მოწყობის პრინციპებს, კლიმატურ მოთხოვნებს, განაშენიანების ხასიათსა და მასშტაბებს, მენაშენეთა ძირითადი ნაწილის მატერიალურ შესაძლებლობებს.

**დაადგინეს:** 1. შპს „ნგ ჯგუფი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს.

2. საკონკურსო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ორსართულიანი მანსარდით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო

შესყიდვის მიზნით გამოცხადებული **№ 421** კონკურსი ჩაითვალოს დასრულებულად უარყოფითი შედეგით.

3) აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს კონკურსანტს.

4) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე : ______________ /ს. მოწყობილი/

კომისიის წევრი: ______________ /ნ. ძნელაძე/

კომისიის წევრები: ______________ /თ. წულაძე/

______________ /ს. მამუჭაძე/

______________ /ნ. ცინცაძე/

______________ /ი. სურმანიძე/

## ხელწერილი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2012 წლის 12 აპრილს გამოცხადებულ №421 კონკურსის მეშვეობით, არქიტექტორულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის თავმჯდომარე: ____________ /ს. მოწყობილი/

კომისიის წევრი: ____________ /ნ. ძნელაძე/

კომისიის წევრები: ____________ /თ. წულაძე/

____________ /ს. მამუჭაძე/

____________ /ნ. ცინცაძე/

____________ /ი. სურმანიძე/

3 მაისი 2012 წელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

№ 01-10/2082

"3" მაისი 2012 წ.

შპს „ნგ ჯგუფი"-ს
დირექტორს გიორგი ქებულიას

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2012 წლის 12 აპრილს არქიტექტორულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული № 421 კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

პატივისცემით,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ს. მოწყობილი

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119
ტელ: (04 22) 27 35 10;
ფაქსი: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

6018, 119 Komakhidze str., Batumi, Georgia
Tel.: (04 22) 27 35 10;
Fax: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge